

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „მთის არწივი“ ს/კ 248412542

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება			
	2021	2022	2023
ნეტო ამონაგები	5 529 243	5 770 007	7 215 373
- საქონლის გაყიდვიდან	5 529 243	5 770 007	7 215 373
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4 529 193	-4 481 952	-6 045 490
- საწყისი მარაგები	-852 172	-1 587 372	-1 587 808
- მარაგების შესყიდვა	-5 264 372	-4 492 588	-6 034 338
გადამუშავების დანახარჯები(გადატანილია ძირითად.საშუალებაში)			
- საბოლოო მარაგები	1 587 351	1 598 008	1 576 656
საერთო მოგება	1 000 050	1 288 055	1 169 883
სხვა შემოსავალი	23 330	24 690	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-76 342	-88 824	-92 289
ცვთა/ამორტიზაცია	-3 023	-1 599	-1 280
საპროცენტო შემოსავალი			28 512
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-58 694	-65 348	-74 959
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-32 498	-14 558	-29 924
სულ საოპერაციო ხარჯები	-147 227	-145 639	-169 940
საოპერაციო მოგება	852 823	1 142 416	999 943
გაუფასურების ხარჯი (რევერსირება)			
ფინანსური აქტივები			

მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)			
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	852 823	1 142 416	999 943
მოგების გადასახადი	105 286	185 293	114 705
მოგება/ზარალი	747 537	957 123	885 238
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი)			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი)სულ			
მთლიანი სრული შემოსავალი(ზარალი)	747 537	957 123	885 238
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3 200 315	3 747 852	3 654 975
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-200 000	-1 050 000	-650 000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი სააგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 747 852	3 654 975	3 890 213

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წ

პერიოდი	31.12.2022	31.12.2023
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	880 220	819 581
სავაჭრო მოთხოვნები	1 558 333	1 761 558
გადახდილი მომწოდებლებზე ავანსები მისაღები შემოსავალი		
მარაგები	1 598 008	1 576 656
-მზა პროდუქცია		
სხვა	1 598 008	1 576 656
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	78 899	
ბიოლოგიური აქტივები	0	0
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6 398	5 740
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		

სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	4 121 858	4 163 535

	31.12.2022	31.12.2023
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	0	122 941
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	466 883	150 381
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
გამოუმუშავებელი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	466 883	273 322
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3 654 975	3 890 213
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	3 654 975	3 890 213
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 121 858	4 163 535

კაპიტალის მოძრაობა 2023 წლის
დასრულებული პერიოდისათვის

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ს უ ლ კაპიტალი
ნაშთი 31/12/2022 წ.	0	3 654 975	3 654 975
2023 წლის მოგება/ზარალი		885 238	885 238
გაცემული დივიდენდი		650 000	650 000
ნაშთი 31/12/2023 წ	0	3 890 213	3 890 213

შპს „ს/ნ 248412542 – ფინანსური ანგარიში

	31.12.2022	31.12.2023
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	6 626 277	8 595 357
ავანსად მიღებული თანხები		
დამფუძნებლის შენატანი	433 119	
სულ შემოსული თანხები	7 059 396	8 595 357
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები (საქონლის მომწოდებლებზე)	-4 472 513	-6 009 959
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები (ხელფასები)	-71 060	-73 831
ანგარიშვალდებულ პირზე კრედიტორული დვალინების დაფარვა		-316 502
გადახდილი გადასახადები	-1 208 148	-1 490 074
სადისტრიბუციო ავტო მანქანების ქირა (იჯარა)	-65 348	-88 440
შესყიდული საწვავი	-23 688	-36 533
გადახდილია საპენსიო ფონდში	-1 599	-1 582
სხვა გადახდები (სატრანსპორტო, სხვადასხვა მომსახურებები და სხვა ხარჯები)	-20 480	-21 575
სულ გაცემული თანხები	-5 862 836	-8 038 496
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	1 196 560	556 861
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	0	0
მიღებული დივიდენდები		
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	0	0
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	0	0
სავალუტო გადაფასების ხარჯი	0	0
სესხის ძირის დაფარვა	0	0
სესხის პროცენტის დაფარვა	0	0
გაცემული დივიდენდი	-997 500	-617 500
საკუთარი კაპიტალის ცვლილება		
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-997 500	-617 500
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	199 060	-60 639
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	681 160	880 220
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	880 220	819 581

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მთის არწივი“ ს/კ248412542 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2004 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ბათუმი აღმაშენებლის N21 საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი აღმაშენებლის N21 საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი როინ ზოიძე

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა. (საკვები პროდუქტები და სხვა.)

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საჭირო მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით არ გამაჩნია.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული, მაგრამ ამ შემთხვევაში საწარმოს ნასესხები სახსრები არ გააჩნია.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ სატვირთო ავტომანქანა 20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი. ამ შემთხვევაში არამატერიალური აქტივები საწარმოს არ გააჩნია.

თუ იარსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, არნიშნული საწარმოს არ გააჩნია.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.


3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.


მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:



/რ. ზოიძე/

ბუღალტერი:



/ა. კახიძე/